პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 ივნისი ხუთშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 131 (15041)

— არჩევნებამდე სამი დღე დარჩა

უბანი ელის

ყვარელი. (საკ. კორ.). დიდი მზადებაა საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ახალსოფლის № 23 საარჩევნო უბანში. არჩევნების შესახვედრად ფართო მუშაობას ეწევა ამომრჩეველთა კლუბი.

აქ მუდამ ხალხმრავლობაა, განსაკუთრებით საღამოობით. ამომრჩევლები ეცნობიან ჩვენი რესპუბლიკის, რაიონისა და სოფლის მიღწევების ამსახველ მასალებს, დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიებს, ისმენენ ლექცია-მოხსენებებს, აგიტატორთა საუბრებს, კითხულობენ კედლის გაზეთს. ამომრჩევლებთან საინტერესო საუბრებით გამოდიან აგიტატორები ნ. ბიბილაშვილი, ხ. თურქაძე, თ. ყარალაშვილი, რ. ონინსკაია, ვ. ყუდრაშვილი და სხვები.

საარჩევნო უბანი მზად არის არჩევნებისათვის, ყველაფერი გათვალისწინებულია ამომრჩეველთა შეუფერხებლად მიღებისა და კენჭისყრის ნორმალურ პირობებში ჩატარებისათვის.

გიგლიოთეკა ამ დღეებში

საჩხერე. საინტერესო წიგნსაარჩევნო დღეებია აკაკი წერეთლის სახელობის საერაიონო ბიბლიოთეკაში. სამკითხველო დარბაზში შემსვლელთა ყურადღებას იპყრობს სპეციალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია მხატვრული, პოლიტიკური, საარჩევნო ლიტერატურა, ყრილობის მასალები, კედლებზე გამოკრულია ლოზუნგები, პლაკატები, დიაგრამები, რომლებიც ასახავენ ჩვენი ქვეყნის უახლეს წარმატებებს, აქვე გაკრულია სარეკომენდაციო სია, მაგიდაზე აწყვია ახალი ჟურნალ-გაზეთები.

ამომრჩevლებისათვის ტარდება ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები.

ბ. კაკაბაძე.

ამომრჩეველთა კლუბში

ახალციხე. ამ დღეებში განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყრის თავს ქალაქის № 5 საარჩევნო უბანთან შექმნილ ამომრჩეველთა კლუბში (გამგე ქ. ხაინბერელი). აქ ყველაფერი აქვთ ამომრჩეველთა გართობისა და კულტურული დასვენებისათვის. კლუბში ხშირად ეწყობა ლექციები, საუბრები, მოხსენებები, იმართება თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, უწესებენ კინოფილმებს, პერიოდულად გამოდის კედლის გაზეთი „ამომრჩეველთა ხმა“.

აგიტატორები მ. კუნკულაძე, ლ. უსოვი, თ. ხარატიშვილი, მ. ფოლიშვილი, ნ. ბელაშვილი და სხვები ამომრჩevლებს ესაუბრებიან სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, ჩვენი ნახევარსუკუნოვანი რესპუბლიკის მიღწევებსა და მისი ახალი ხუთწლედის ამოცანებზე, საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობაზე.

შ. მესხი.



წყალტუბოელთა წარმატება

31 მაისისათვის წყალტუბოს რაიონის მეჩაიეებმა შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის მაისივნისის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.908 ტონისა დამზადებულია 3.050 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ორი თვის დავალება შესრულებულია 104,8 პროცენტით. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 110 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. (საქდესი).

ხალხის კანდიდატები

ლალი ნიშნიანიძე ახლა დიდ სიხარულს განიცდის. იგი წამოყენებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ქუთაისის № 8 სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდა მკერავმა ეს პატივი დაიმსახურა თავისი კეთილშობილური, თავდადებული შრომით. ყოველდღე მის ხელში გაივლის მამაკაცის 300-მდე ზედაპირანი. თუ საჭიროა, მას ყოველთვის შეუძლია შეცვალოს თავისი ამხანაგი სამუშაოზე — შეკერვის ყველა ოპერაცია ჩინებულად აქვს ათვისებული.

აქტიური კომკავშირელი, შესანიშნავი ამხანაგი, მოწინავე მუშა, რომელიც დაუსწრებლად იძენს უმაღლეს განათლებას, ლალი ნიშნიანიძე ხალხის ღირსეული რჩეული იქნება. სურათზე: (მარცხნივ) ლალი ნიშნიანიძე.

ფოტო ბ. ბრინგლატისა.

თბილისის საავეჯო კომბინატ „გალითაიდში“, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი საწარმოო გაერთიანებაა დედაქალაქში, ყველა კარგად იცნობს ბრიგადირ ნოშრევან საქაბლიშვილს, როგორც თავისი საქმის კარგ სპეციალისტს, მოწინავე მეჩარხეს, საუკეთესო ადამიანსა და მეგობარს. იგი თითქმის 16 წელია ამ საწარმოში მუშაობს, დაკისრებულ საქმეში მთელ თავის გამოცდილებას, ენერგიასა და მონდომებას აქცევს, ამიტომაც არის, რომ ყოველთვიურ დავალებებს სისტემატურად დიდი გადაჭარბებით — 150-160 პროცენტით ასრულებს.

ღირსეულ ადამიანს თავდადებული შრომაც ღირსეულად დაუფასეს. იგი ხალხის რჩეულ ადამიანთა შორის — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

სურათზე: ნოშრევან საქაბლიშვილი.

ფოტო ბ. ბოგოსიანისა.

განვახორციელოთ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი

ამომრჩეველთა შეხვედრა ა. ნ. კოსიგინთან

მოსკოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები მოვიდნენ 9 ივნისს დიდ თეატრში, რათა შეხვედრიდნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინს.

კრება გახსნა პარტიის ფრუნზეს რაიკომის მდივანმა ტ. ბ. ზჩეკინ-ქრობოვამ.

პირველად სიტყვა მიეცა ნდობით აღჭურვილ პირს — მანქანათმშენებელი ქარხანა „ზნამია ტრუდას“ ხარატს, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატს ა. ა. ბელოვს. მან გაიცნო შეკრებილთა დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები კარგად იცნობენ და დიდ პატივს სცემენ ა. ნ. კოსიგინს. მოსკოველებმა არაერთხელ გამოუცხადეს ნდობა ამხანაგ ა. ნ. კოსიგინს, აირჩიეს რა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. და იგი ღირსეულად ამართლებს გაწეული ნდობას.

მანქანათმშენებელთა კოლექტივის სახელით ა. ა. ბელოვმა მოუწოდა დედაქალაქის ფრუნზეს ოლქის ყველა ამომრჩეველს ერთსულოვნად მისცენ ხმა საბჭოთა მთავრობის მეთაურს, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ღირსეულ კანდიდატს ა. ნ. კოსიგინს.

შემდეგ შეხვედრაზე გამოვიდნენ ნდობით აღჭურვილი პირები — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ა. დ. ალექსანდროვი და მოსკოვის შეორე საათის ქარხნის ამწყობი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ბ. კოხანოვა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. ა. სმირნოვი, სახელმწიფო საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი სატრაქტორო ინსტიტუტის ინჟინერი, სრულიად საკავშირო ალკკ კომიტეტის წევრი ი. ბ. სტეპანოვი.

სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. კოსიგინმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ, თქვა მან, საბჭოთა კავშირის ხალხები აირჩევენ თავიანთი რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს. ახლა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ფართო აღმშენებლობის პროგრამას. ყრილობა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ყრილობის გადაწყვეტილებებმა ყველა ქვეყნის ხალხთა უურადღება მიიპყრეს, მათ მოწონებით შეხვდა მთელი პროგრესული კაცობრიობა. ყრილობის მიერ დასახული ამოცანები განსაზღვრავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ პლატფორმას საარჩევნო კამპანიაში.

წინასაარჩევნო კრებებზე გამოთქმული მშრომელთა წინადადებანი გამოხატავენ მთელი ხალხის ზრუნვას ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, მოწმობენ ლენინის დიადი პარტიის გარშემო საბჭოთა ადამიანების შეკავშირებას.

ამხ. ა. ნ. კოსიგინმა მადლობა გადაუხადა ყველა კოლექტივს, რომლებმაც მისი კანდიდატურა დასახელეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქში, აგრეთვე ყველა ამხანაგს, რომლებიც ამ კრებაზე გამოვიდნენ და მხარი დაუჭირეს მის კანდიდატურას. ა. ნ. კოსიგინმა ასევე კეთილი სიტყვები მიმართა, თქვა ამხ. ა. ნ. კოსიგინმა, იმ უსაზღვრო ნდობის გამოხატულებად, რომელსაც ხალხი უცხადებს ჩვენს პარტიას. ნება მიბოძეთ აღგითქვათ, რომ მე, როგორც კომუნისტი, ძალღონეს არ დავიშურებ ჩვენი პარტიის იმ გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ცნობილია, რომ კომუნისტური პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უმაღლესი მიზანია ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება. ეს ლენინური ხაზი, რომელსაც ჩვენი პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს, მკაფიოდ გამოვლინდა ყრილობის მიერ დამტკიცებულ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში.

ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანის — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების გადასაწყვეტად გათვალისწინებულია უფრო სწრაფად განვავითაროთ ინდუსტრიის ძირითადი დარგები, კიდევ უფრო ავამაღლოთ სოფლის მეურნეობა, გამოიყოფა დიდძალი სახსრები წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, მეცნიერული კვლევისა და სახალხო განათლების ფართოდ განვითარებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს არასოდეს არ ჰქონია ასეთი შესაძლებლობანი დ ესახა სახალხო მეურნეობის აღმაღლობისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების ესოდენ გრანდიოზული ეკონომიურად დასაბუთებული პროგრამა.

ხუთწლედის სოციალური პროგრამა ითვალისწინებს მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული ამოცანების თანმიმდევრულ გადაწყვეტას. ეს უწინარეს ყოვლისა არის მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდება როგორც მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდების, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ზრდის გზით, ისე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სწრაფი განვითარების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებითი გაუმჯობესების გზით. კანმრთელობის დაცვას, განათლებას, სპორტსა მშენებლობას, მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის კადრების პროფესიულ სრულყოფას იმდენი თანხა მოხმარდება, რამდენიც არ მოხმარებია საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. მნიშვნელოვნად იზრდება სახსრები პენსიით უზრუნველყოფისა და ჩვილშვილიანი ოჯახების დახმარებისათვის. გათვალისწინებულია სახელმწიფო სესხების ობლიგაციათა ვადამდე დაფარვა და სოციალური ხასიათის სხვა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ერთადერთი საფუძველია ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განუხრელი ზრდა. მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ XXIV ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის პროპორციული განვითარების სწრაფი ტემპების შენარჩუნებას.

ყველას კარგად გვახსოვს ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ საჭირო ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება. ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუ რა გზებით შეგვიძლია გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება.

შემდეგ ამხ. ა. ნ. კოსიგინი შეეხო მრეწველობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების საკითხებს და მაგალითისათვის დამსწრეთ გააცნო ქვანახშირის, ნავთობის, გაზის მრეწველობის, ელექტროენერგეტიკის, აგრეთვე მანქანათმშენებლობის განვითარების ამოცანები. მრეწველობის ამ დარგების განვითარება დიდად განსაზღვრავს როგორც ზრდის ტემპებს, ისე წარმოების ეფექტიანობას მთელ სახალხო მეურნეობაში.

მექანიზაციასა და ავტომატიზაციას ჩვენში არა მარტო ეკონომიური, არამედ დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა ახალ ათასობით მშრომელს ათავისუფლებს მძიმე და არაკვალიფიციურ სამუშაოთაგან, საშუალებას აძლევს შეიძინონ ახალი სპეციალობანი. სოციალიზმის პირობებში ტექნიკური პროგრესი შეესაბამება საზოგადოების, საწარმოს, თვითეული მუშაკის ინტერესებს. ამიტომ ჩვენმა სამეურნეო კადრებმა თავიანთი ყურადღება მუდამ უნდა დაუთმონ შრომის ნაყოფიერების ყოველნაირად გადიდებას.

დღეს მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის დონეზე მსჯელობენ არა მარტო პროდუქციის რაოდენობისა და ნომენკლატურის, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა გორია მისი ხარისხი, იერი, რამდენად მსუბუქია კონსტრუქცია, შემცირებულია მასალატევადობა, რამდენად დაზოგილია ნედლეული და მასალები.

ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამას დამაჯერებლად მოწმობენ აგრეთვე საბჭოთა კოსმონავტიკის წარმატებანი. კოსმოსური სივრცის კვლევასა და ათვისებაში თვალსაჩინო მოვლენაა პირველი პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგურის „სალუტის“ შექმნა. მისმა ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაში არიან ჩვენი შესანიშნავი კოსმონავტები დობროვოლსკი, ვოლკოვი და პაცაევი, ბრწყინვალედ შეასრულა შეპირაპირების ეტაპი და ამჟამად კოსმოსში ახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტებისა და კვლევის დიდ და პასუხსაგებ კომპლექსს.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული კაპიტალური მშენებლობის ეკონომიურ მაჩვენებლებზე. უნდა ვთქვათ, რომ საწარმოთა მშენებლობის ხარჯები ჯერ კიდევ უაღრესად დიდია.

ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები, როგორც ტექნოლოგიური, ისე სამშენებლო ინსტიტუტები, საკმარისად არ მუშაობენ საწარმოთა მშენებლობის გაიაფების, ხვედრითი კაპიტალური დანახარჯების შემცირების შესაძლებლობის გამონახვის საკითხებზე. უნდა გავზარდოთ მოთხოვნა აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციებისადმი, რათა უკვე უახლოეს წლებში მკვეთრად შემცირდეს მშენებლო-

(დასასრული მე-2 გვ.).

მიფრინავს „სალუტ“ ორბიტული სადგური

ფრენის მართვის ცენტრი, 9 ივნისი. (საკდესი). ორბიტული სამეცნიერო სადგურის „სალუტის“ ეკიპაჟმა მესამე სამუშაო დღე პროგრამის თანახმად დაიწყო 9 ივნისს დაახლოებით ღამის პირველ საათზე მოსკოვის დროით.

კოსმონავტები განაგრძობენ ორბიტული სადგურის მრავალფეროვანი სამეცნიერო აპარატურის აწყობას, ეწევიან მედიკობიოლოგიურ ექსპერიმენტებს. ეკიპაჟის მეთაურმა განაცხადა, რომ ყველა კოსმონავტი თავს კარგად გრძნობს, სადგურის მუშაობა მიმდინარეობს დასახული პროგრამით.

ფრენის მართვის ცენტრს მყარი რადიოკავშირი აქვს სადგურ „სალუტთან“.

ფრენის მართვის ცენტრი, 9 ივნისი. (საკდესი). კოსმონავტების გიორგი დობროვოლსკის, ვლადისლავ ვოლკოვის, ვიქტორ პაცაევის მესამე სამუშაო დღე დამთავრდა 15 საათზე მოსკოვის დროით. იგი მიეძღვნა ექსპერიმენტებსა და სადგურის მომზადებას შემდგომი მუშაობისათვის.

დილის ტელეტიპისა და ხაუზმის შემდეგ ეკიპაჟი შეუდგა დასახული პროგრამის შესრულებას.

დამთავრდა „სოიუზ-11“ ხომალდის მთელი რიგი სისტემების კონსერვაცია. შემდგომი კონტროლი სატრანსპორტო ხომალდის საბორტო სისტემებისა და აგრეგატების მდგომარეობისადმი განხორციელდება ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების მიხედვით.

კოსმონავტებმა არაერთხელ მოაწყვეს სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები. ფრენის დროს კარგი ფიზიკური მდგომარეობა რომ შეინარჩუნონ, ისინი იყენებენ სპეციალურ დატვირთვის კოსტიუმებს, რომელთა საშუალებით ხორციელდება ადამიანის ძვალ-კუნთების სისტემაზე დედამიწისეული დატვირთვის იმიტაცია. კოსმონავტებმა გადმოსცეს, რომ კოსტიუმები სამუშაოდ მოხერხებულია და არ ქმნიან უსიამოვნო შეგრძნებებს.

რეგულარულად მოწმდებოდა სადგურის მიკროატმოსფეროს გაზის შედგენილობა. გრძელდებოდა სადგურის ძირითადი სისტემების შემოწმება, — სამეცნიერო აპარატურისა და ხელსაწყოების მომართვა და დაზუსტება.

მუშაობის მსვლელობაში ფრენის პროგრამის შესაბამისად დაიწყო რადიაციის დონის გაზომვის, კოსმოსური სივრცეში მიკრომეტეორიტული ვითარების დაკვირვების ექსპერიმენტები.

დღევანდელი ექსპერიმენტების დროს გამოსცადეს ფართოკუთხიანი ვიზირი — ახალი ხელსაწყო, რომელიც გათვალისწინებულია მზისა და პლანეტების მიმართ ზუსტი ორიენტაციისათვის. ფრენის პროგრამის შესაბამისად 10 საათსა და 06 წუთზე მოეწყო „სალუტ“ სადგურის ორბიტის მეორე კორექცია, რის შედეგადაც სადგური გადავიდა ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეი) — 282 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეი) — 259 კილომეტრი;

— დედამიწის გარშემო მიმოქცევის პერიოდი — 89,7 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

9 ივნისს 15 საათისათვის მოსკოვის დროით „სალუტ“ სამეცნიერო სადგურმა კოსმონავტებითურთ 38-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და კოსმონავტთა მოხსენებების თანახმად, სადგურის ნაკვეთურებში შენარჩუნებულია ნორმალური პირობები. საბორტო სისტემების მდგომარეობა კარგია.

ფრენის მართვის ცენტრის სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ „სალუტ“ სამეცნიერო სადგურის ეკიპაჟი დიდი მონდომებით, შეთანხმებულად და გულდაჯერებით მუშაობს. კოსმონავტები ამხანაგები გ. ტ. დობროვოლსკი, ვ. ნ. ვოლკოვი და ვ. ი. პაცაევი თავს ჩინებულად გრძნობენ. „სალუტ“ სამეცნიერო სადგურის ფრენა გრძელდება.

მისალმეგვანი „სალუტ“ ორბიტული სამეცნიერო სადგურიდან

მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშაებს—„სალუტ“ კილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგურების შემქმნელებს

ძვირფასო ამხანაგებო! გულითად სალამს გითვლით და დიდ მადლობას გიძღვნით პირველი პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგურის „სალუტის“ შექმნისათვის. გისურვებთ ახალ შემოქმედებითს მიღწევებს!

კოსმონავტები დობროვოლსკი, ვოლკოვი, პაცაევი.

სოციალისტური ქვეყნების ხალხებს

„სალუტ“ პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგურიდან გულითადად მივესალმებით სოციალიზმის ქვეყნების მშრომელებს. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მსოფლიო სოციალისტური სისტემა, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ბურჯი.

კოსმონავტები დობროვოლსკი, ვოლკოვი, პაცაევი.

ევროპის ხალხებს

„სალუტ“ პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგურიდან მივესალმებით ევროპის ხალხებს. დაე ევროპა იყოს მტკიცე მშვიდობისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაშრომლობის კონტინენტი.

კოსმონავტები დობროვოლსკი, ვოლკოვი, პაცაევი.

ვ. პ. მჟავანაძემ გადასცა ჯილდოები

ბოგდანოვკა, 9 ივნისი. (საქდესი). დღეს აქ სასიხარულო ამბავი მოხდა: რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი ჯგუფისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოების გადასაცემად ბოგდანოვკაში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე.

პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც გახსნა პარტიის წევრის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. დურგარიანმა. მან სიტყვა მისცა ბოგდანოვკის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს დ. კაკულიას, რომელმაც ზეიმითა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მთავრობის კოსმონავტიკის წარმატებანი. კოსმოსური სივრცის კვლევასა და ათვისებაში თვალსაჩინო მოვლენაა პირველი პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგურის „სალუტის“ შექმნა. მისმა ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაში ჩვენი შესანიშნავი კოსმონავტები დობროვოლსკი, ვოლკოვი და პაცაევი, ბრწყინვალედ შეასრულა შეპირაპირების ეტაპი და ამჟამად კოსმოსში ახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტებისა და კვლევის დიდ და პასუხსაგებ კომპლექსს.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული კაპიტალური მშენებლობის ეკონომიურ მაჩვენებლებზე. უნდა ვთქვათ, რომ საწარმოთა მშენებლობის ხარჯები ჯერ კიდევ უაღრესად დიდია.

ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები, როგორც ტექნოლოგიური, ისე სამშენებლო ინსტიტუტები, საკმარისად არ მუშაობენ საწარმოთა მშენებლობის გაიაფების, ხვედრითი კაპიტალური დანახარჯების შემცირების შესაძლებლობის გამონახვის საკითხებზე. უნდა გავზარდოთ მოთხოვნა აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციებისადმი, რათა უკვე უახლოეს წლებში მკვეთრად შემცირდეს მშენებლობა.

ფალაა, 9 ივნისი. (საქდესი). რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი ჯგუფი სახალხო მეურნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის, მერვე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. მაღალ ჯილდოებს შორის არის ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები.

ჯილდოების გადასაცემად აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე.

პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც გახსნა პარტიის წევრის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. დელავერმა. მან სიტყვა მისცა წალკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ლ. მელტონიანს. ამხ. მელტონიანმა წაიკითხა ბრძანებულება ორდენებითა და მედლებით რაიონის 79 მშრომელის დაჯილდოების შესახებ.

ჯილდოები გადასცა ვ. მჟავანაძემ, რომელმაც მხურვალედ მიულოცა დაჯილდოებულებს, უსურვა ახალი წარმატებანი შრომაში, ჯანმრთელობა და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ავრანლოს მერძეეობა - მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა დ. ცაბაძემ, თრიალეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტმა გ. გალუსტიანმა, სოფელ ლივადის კეთილშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. არაბოვმა, სოფელ ოლიანეის ძერძინსკის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. კესოვმა.

ე. დილავერმა რაიონის მშრომელთა სახელით პირობა მისცა პარტიასა და მთავრობას, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკები, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის შეჯიბრების მონაწილეობა პირველ რიგებში იქნებიან.

გავადიდოთ კოლმეურნეთა პენსიების მინიმალური ოდენობა და მათზე გავავრცელოთ მუშა - მოსამსახურეთათვის დადგენილი პენსიების გაანგარიშების წესი.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან სკკპ XXIV ყრილობაზე

კოლმეურნეთა მაღლობა

სოფლის მშრომელები ჯდფთოვანებული არიან სპეციალი უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

გაზეთებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კოლმეურნეთა სპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „ბაბრცელდეს კოლმეურნეობათა წევრებსა და მათ ოჯახებზე პენსიების გამოანგარიშების წესი, რომელიც მუშებისათვის, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის დადგენილია „სახელმწიფო პენსიების შესახებ“, სსრ კავშირის 1956 წლის 14 ივლისის კანონით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1956 წ., № 15, მუხლი 318).

„ამ ბრძანებულების მიხედვით კოლმეურნეებს გაუდიდდათ მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიების მინიმალური ოდენობა, რომელმაც დიდი სიხარული და მოწონება გამოიწვია სოფლის მშრომელებში.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ მადლობას უხდიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათზე ესოდენ დიდი მზრუნველობისათვის.

აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის დურიფშის კოლმეურნეობის წევრები გულდასმით გაეცნენ ბრძანებულების ტექსტს და მადლობის დეპეშები გაგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელზე.

ასეთივე სამადლობელი დეპეშები გაგზავნეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის დმენისის კოლმეურნეებმა, ზუგდიდის რაიონის კახათის კოლმეურნეობის წევრებმა.

ბრძანებულების გაცნობამ დიდი სიხარული გამოიწვია აგრეთვე ზესტაფონის რაიონის მეორე ხვირის, ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის, ხელვაჩაურის და სხვა რაიონების სოფლის მშრომელებში.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სახელზე გაგზავნილი მადლობის დეპეშების ნაკადი ყოველდღე მატულობს. მშრომელები პირობას იძლევიან, რომ საკმით უპასუხონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

განვაახორციელოთ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი

(დასასრული)

ბის ვადები და მისი ღირებულება, ამასთან სამშენებლო სამუშაოები მაღალი ხარისხისა უნდა იყოს. ეს ჩვენი მშენებლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

როცა ვამუშავებდით მეცხრე ხუთწლედის დირექტივების პროექტს, ვეძებდით შესაძლებლობებს მოსახლეობის მზარდი გადახდისუნარიანი მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებისათვის. მერვე ხუთწლედის წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სამომხმარებლო საქონლის წარმოების და მომსახურების მოცულობის გადიდებისათვის. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებისათვის მიმდინარე ხუთწლედში დიდი სახსრები გამოიყოფა. ბევრად გაიზრდება ქსოვილების, ფეხსაცმლის, ჭურჭლის, ხორცის, რძის პროდუქციის, ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის გამოშვება. ყრილობის დირექტივებით პირველად არის გათვალისწინებული სახალხო მოხმარების საგნების წარმოების ზრდის უფრო სწრაფი ტემპები, ამასთან არა მარტო მსუბუქ და კვების მრეწველობაში, არამედ მძიმე ინდუსტრიის დარგებშიც.

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა დამატებით გამოვუშვათ დიდძალი სხვადასხვა საქონელი მოსახლეობისათვის. ასეთი რეზერვების არსებობას მოწმობს მოწინავე საწარმოთა გამოცდილება. ყრილობის შემდეგ ბევრმა საწარმოო კოლექტივმა გამოავლინა შესაძლებლობანი და იკისრა ვალდებულება 1971 წლის გეგმის გადამეტებით გამოუშვას ორ მილიარდ-ნახევარ მანეთზე მეტი ღირებულების სახალხო მოხმარების საქონელი. მათ შესანიშნავ მაგალითს, რომლის შესახებაც ჩვენი პრესის ფურცლებზე წაიკითხავდით, უეჭველია ბევრი მიბაძავს.

შემდეგ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა ალაპარაკა იმის შესახებ, რომ ახლა მიმდინარეობს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და ასუხსნაგები მუშაობა ხუთწლიანი გეგმის შესადგენად, რომლის ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ დასაბუთებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ყრილობის დირექტივების წარმატებით შესრულება. საწარმოთა და დარგთა გეგმებში ყველაზე სრულად უნდა აისახოს პრაქტიკული ღონისძიებანი წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვისათვის.

საბჭოთა ეკონომიკის წარმატებითი განვითარება განუყოფელად არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფასთან, სამეურნეო რეფორმის შემდგომ გავრცელებასა და გაღრმავებასთან, რეფორმისა, რომელმაც გაამართლა თავისი დანიშნულება. XXIV ყრილობამ აიღო კურსი, რომლის მიზანია წარმოების გამსხვილება და კონცენტრაცია, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა განვითარება, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ უფრო სრულად გამოვიყენოთ ტექნიკური პროგრესის მიღწევები, ავამაღლოთ მართვის ეფექტიანობა.

ჩვენ კვლავაც სრულყოფილ მართვის სისტემას, გავამარტივებთ და გავაიაფებთ სამმართველო აპარატს; მოვსპობთ ზედმეტ რგოლებს. მეურნეობის ხელმძღვანელობის მეთოდები და ფორმები უნდა დაექვემდებაროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ამოცანებს.

უმაღლესი საბჭოების არჩევნები ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მიმდინარეობს როგორც სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის მძლავრი დემონსტრაცია. ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა, მშრომელთა პატრიოტული ზრნუნვა სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი აყვავებისათვის, მათი მისწრაფება — ამრავლონ თვითეული რესპუბლიკის წვლილი კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში — ყოველივე ეს გამოხატავს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, ერთიანობასა და შეკავშირებას ლენინური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

პარტიის XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ „მომავალშიც განუხრელად უნდა ვახორციელებდეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცების ლენინურ კურსს, ამასთან ვხელმძღვანელობდეთ საბჭოთა სახელმწიფოს საერთო ინტერესებით, აგრეთვე ვითვალისწინებდეთ მასში შემავალი თვითეული რესპუბლიკის განვითარების პირობებს, თანმიმდევრულად ვიღვწოდეთ ყველა სოციალისტური ერის შემდგომი აყვავებისათვის, მათი თანდათანობით დაახლოებისათვის“.

ამ ლენინური კურსის განხორციელებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის რუსეთის ფედერაციას — ჩვენი კავშირის ყველაზე დიდ რესპუბლიკას. აფრაცხელმა მისი ბუნებრივი სიმდიდრენი. აქ არის ქვანახშირის, ნავთობის, გაზის, რკინისა და ფერადი ლითონების მადნის, მინერალური სასუქების წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის საერთო-საკავშირო მარაგის უმეტესი ნაწილი.

ამხ. ა. ნ. კოსიგინმა დაწვრილებით დაახასიათა უკანასკნელი წლების მანძილზე რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის განვითარებაში მოპოვებული მიღწევები და მის წინაშე ახლა ხუთწლედში დასახული ამოცანები. რუსეთის ფედერაციის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში სწრაფი ტემპებით ვითარდება და სამეურნეო ბრუნვაში ექცევა ახალი მძლავრი საწარმოო ძალები. ამ ხუთწლედში კიდევ უფრო აყვავდება ეს ვრცელი. ოდესღაც უკაცრიელი ტაიგის რაიონები.

ამასთანავე ფედერაციის ევროპულ ნაწილში, განსაკუთრებით მის ცენტრალურ რაიონებში, კიდევ უფრო განვითარდება დამშეშავებული მრეწველობის დარგები, უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობა. დამთავრდება მსუბუქი ავტომობილების ქარხნის მშენებლობა ტოლიატში და მუშაობას დაიწყებს საგვირთო ავტომობილების ახალი უდიდესი ქარხანა კამაზე. მნიშვნელოვნად გაიზრდება მსუბუქი და კვების მრეწველობის წარმოება.

წარმატებით ვითარდებიან ძველი სამრეწველო ცენტრებიც, ისეთები, როგორიც არის, მოსკოვი, ლენინგრადი, ივანოვო, ვოლგისპირეთის, ურალის ქალაქები და სხვები.

დღეს რუსეთის ფედერაციის მრეწველობა გვაძლევს ნავთობის, ავტომობილების, ქსოვილების საერთო-საკავშირო წარმოების დაახლოებით ოთხ მეხუთედს, ქიმიური ბოჭკოების სამ მეოთხედს; ელექტროენერგიის, ცემენტის დაახლოებით ორ მესამედს; ლითონის, ქვანახშირის, გაზის, ფეხსაცმლის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაახლოებით ნახევარს.

რუსეთის ფედერაცია, ისევე როგორც ჩვენს დიდ კავშირში შემავალი თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა, თავისი საწარმოო ძალების განვითარებასს არასოდეს არ ჩაკეტილა საკუთარ ჩარჩოებში. თავის მხრივ საბჭოთა რესპუბლიკების ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ნაყოფიერი შედეგები დადებით გავლენას ახდენენ ცალცალკე თვითეული რესპუბლიკისა და მთლიანად საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარებაზე.

მჭიდრო ურთიერთმოქმედება აქვთ რა მომმე რესპუბლიკებთან, რუსეთის ფედერაციის ხალხები აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ერთიანი სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის განვითარებაში. საბჭოთა რესპუბლიკების ეს ურთიერთთანამშრომლობა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მთავარი ძალაა.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხსვა ხალხთან რუსეთის ფედერაციის ხალხთა მეგობრობა და ძმობა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში ახალ წარმატებათა საწინდარია, კომუნისტური პარტია კვლავაც განამტკიცებს ამ დიად ძალას, როგორც ეს გვიანდერძა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა.

„ამხანაგებო! დიდი, რთული ამოცანები დგას მეცხრე ხუთწლედში მოსკოვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების წინაშე. მუშებისა და ინტელიგენციის წინაშე, დედაქალაქის ყველა მშრომელთა წინაშე. დასახულია მნიშვნელოვნად გავაღიდოთ სამრეწველო წარმოების მოცულობა. არსებითად იცვლება მოსკოვის ინდუსტრიის თვისებრივი დონე. ისევე როგორც წინა წლებში, ამ ხუთწლედში გათვალისწინებული არ არის მოსკოვში ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობა. წარმოების მოცულობის მატება უნდა უზრუნველყოფთ არსებული საწარმოების, ტექნიკური დონის ამაღლების გზით, წარმოების მართვის სრულყოფის გზით. რა თქმა უნდა, ეს ოღონ ამოცანა როდია, მით უმეტეს, რომ ქალაქში ბევრია ძველი საწარმო.

დედაქალაქის მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ორგანიზაციების კადრები, რომლებსაც დიდი გამოცდილება, შესანიშნავი შრომითი ტრადიციები, პროფესიული შომზადების მაღალი დონე აქვთ, შრომითი მამაცობის მაგალითებს უჩვენებენ. დედაქალაქის საწარმოები უნდა გახდნენ მაღალი საწარმოო კულტურის თავისებურ სრულიად საკავშირო ლაბორატორიად ამ სიტყვის ფართო გაგებით.

მოსკოველები აწარმოებენ საომმზმარებლო საქონლის მნიშვნელოვან წილს. აქ თავმოყრილია მთელი რიგი საფეიქრო, ფეხსაცმლის, სამკერვალო, ტრიკოტაჟის ფაბრიკები, კვების მრეწველობის მსხვილი საწარმოები. დედაქალაქში ბევრი საწარმოა, რომელთა პროდუქციას კარგად იცნობს და აფასებს ჩვენი ხალხი. დედაქალაქში დამზადებული საქონლის უმრავლესობა შიესახება მაღალ თანამედროვე მოთხოვნებს.

მოსკოვის საწარმოებს შეუძლიათ და კიდევაც განუწყვეტლივ უნდა უშვებდნენ ახალ საქონელს, ოპერატიულად გარდაქმნიდნენ წარმოებას მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად. გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი დროული განახლების შესაძლებლობანი გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოებისა და დარგების გეგმებში

სანმაუშო ქალაქად მოსკოვის გადაქცევის ამოცანა ეხება არა მარტო მრეწველობას, არამედ სამინაო მშენებლობას, სახლების მოვლას. ქალაქის ტერიტორიის ეკოლმოწყობას, მოსახლეობის მომსახურების ხარისხს.

ახალ ხუთწლედში დასახულია შევინარჩუნოთ სამინაო მშენებლობის სწრაფი ტემპები. აშენდება უპირატესად მრავალსართულიანი სახლები. იქ ბინები უკეთ დაიგეგმება და მოპირკეთდება.

მეტი ყურადღება ეთმობა ქალაქის გამწვანებას. მის უზრუნველყოფას ვაქრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებით. ამ დარგების საწარმოებში საჭიროა განვახორციელოთ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდის უზრუნველყოფის სერიოზული ღონისძიებანი.

ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს და დამტკიცეს მოსკოვის განვითარების ახალი გენერალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს დედაქალაქის მცხოვრებთა შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების პირობების შემდგომ გაუმჯობესებას. განსაზღვრულია საქალაქო მეურნეობის ყველა დარგის მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებების პერსპექტივები.

ხუთწლედის წარმატებას წყვეტენ ადამიანები, მათი შრომითი აქტივობა რა კარგადაც უნდა იყოს შემუშავებული ჩვენი გეგმები, მათი განხორციელებისათვის საჭიროა, რომ ორგანიზებულად და რიტმულად მუშაობდეს ყველა შრომითი კოლექტივი.

XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ საჭიროა ყველგან გავზარდოთ ორგანიზებულობა, დისციპლინა, პასუხისმგებლობა, სისტემატურად შევამოწმოთ შესრულება, ჩავუნერგოთ ადამიანებს მოქალაქეობრივი მოვალეობის, შრომისადმი, როგორც საზოგადოების წინაშე უპირველესი მოვალეობისა დ მ, პატიოსნებემის გრძნობა.

წინასაარჩევნო კრებებზე საბჭოთა ადამიანები აჯამებენ თავიანთი შრომის შედეგებს. ამასთან ისინი აღნიშავენ ნაკლოვანებებსაც. ჩვენს ხალხში განმტკიცდა ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობა. ადამიანებს აღარ სურთ შეურიგდნენ მიუროკრატიზმის, უძრაობის, გულგრილობის, უყაირათობის გამოვლინებებს.

სოციალისტური დემოკრატია უხაზვრო შესაძლებლობუბს ქმნის თვითეული ადამიანის ნიჭის ყოველმხრივი გამოვლინებისა და გაფურჩქვნისათვის, მისი შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის ზრდისათვის.

მშვიდობის განმტკიცებისათვის, შრომელი ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვით გამსჭვალული ჩვენი მიზნები და პრაქტიკული მოქმედება, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, ყველაზე უკეთ მოწმობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის მაღალ ჰუმანიზმს. ეს ერთნაირად ეხება როგორც ჩვენს საშინაო პოლიტიკას, ისე საგარეო პოლიტიკასაც, რადგან ისინი ერთიმეორისაგან განუყოფელია.

მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება ჩვენს პარტიასა და სახელმწიფოს მუდამ მიაჩნიათ თავიანთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. მაგრამ ჩვენი პოლიტიკა სრულებითაც არ გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობაში უკეთესობისაკენ ცვლილებების პასიური მოლოდინს. იგი მუდამ იყო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის აქტიური ბრძოლის პოლიტიკა.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის კონკრეტულ წინადადებებს მსოფლიოში მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ, ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი ვერ ბედავენ აშკარად გაილაშქრონ ჩვენი წინადადებების წინააღმდეგ. ისინი ჩვეულებრივ ამტკიცებენ, თითქოს ესა თუ ის საბჭოთა წინადადება მეტად რთულია შესწავლისათვის, ბევრ დროს მოითხოვსო, და აყენებენ სხვადასხვა პირობებს, რათა გვერდი აუარონ საკითხის გადაწყვეტას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არა ვართ საკითხების გულდასმით მომზადებისა და შესწავლის წინააღმდეგი. მაგრამ უნდა განვასხვავოთ, სად ეხება საქმე მომზადებას, და სად მომზადების ალმით — მშვიდობისმოყვარული წინადადების ჩაფუშვას. ჩვენ კვლავაც ვამხილებთ იმათ მანევრებსაც, ვინც მხოლოდ ლაპარაკობს მშვიდობაზე, საქმე კი სრულიად საწინააღმდეგო გზით მიპყავს.

საერთაშორისო ცხოვრებაში სულ უფრო მწვავედ იგრძნობა კაპიტალიზმის ობიექტური წინააღმდეგობანი. ერთი მხრივ ეს იწვევს რეაქციისა და მილიტარიზმის გაძლიერებას იმპერიალისტ ტ ურ ქვეყნებში, ამასთან ოპოზიციის ჩახშობის ფაშისტურ მეთოდებსაც, მეორე მხრივ ამ ქვეყნების მმართველ წრეებს აიძულებს მანევრებს მიმართონ საშინაო პოლიტიკაში კლასობრივი ბრძოლის ზეგავლენით, აგრეთვე სიძნელეებიდან გამოსავალი ეძიონ იმპერიალისტი კონკურენტების ხარჯზე.

მაგალითად, რას მოწმობს კაპიტალიზმის ის სავალუტო-საფინანსო სისტემის კრიზისის პეროდული გამწვავება, რომელიც ემყარება ამერიკული დოლარის გამოყენებას? ეს მოწმობს სეროიზულ სიძნელეებს კაპიტალისტური სისტემის ეკონომიურ ორგანიზმში და უწინარეს ყოვლისა მის მთავარ ცენტრში — ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კაპიტალისტურ სამყაროში კრიზისული განვითარება გავლენას ვერ ახდენს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკაზე.

სოციალიზმის ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობა — ეს არის ძმური სოციალისტური თანამშრომლობის ურთიერთობა. მას საფუძვლად უდიეს თანასწორობა და ურთიერთმხარდაჭერა, და რეალურ სარგებლობას ასეთი თანამშრომლობისაგან ყველა ქვეყანა იღებს.

ამჟამად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები ერთად მუშაობენ სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების პროგრამის შესადგენად. ამ პროგრამის შესრულებას მოჰყვება მთლიანად მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიური ძლიერების გადიდება და ხელს შეუწყობს თვითეული სოციალისტური ქვეყნის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებას.

პარტიის XXIV ყრილობის გეზის შესაბამისად ჩვენ კვლავაც ყოველნაირად განვამტკიცებთ და განვავითარებთ ყოველმხრივ თანამშრომლობას სოციალიზმის ქვეყნებთან. ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ყრილობათა გადწყვეტილებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალისტური თანამეგობრობის ძმური ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას. აგრეთვე მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური“ პარტიის ყრილობას, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობს.

აღნშნა რა უკანასკნელი წლების პოზიციური შედეგები საგარეო პოლიტიკის დარგში, ა. ნ. კოსიგინი შეეხო ვიეტნამრას ომიდან გადაჩრას და დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი კურსი შეესაბამება ინდოეთისა და პაკისტანის ხალხთა ეროვნულ ინტერესებს და ინდოსტანის ნახევარკუნძულ ზე მშვიდობის შენარჩუნების საქმეს. მოვლენათა სხვაგვარი განვითარება კი ხელს მისცემდა იმ შინაგან და გარეშე ძალებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც ინდოეთის, ისე პაკისტანის ინტერესების საზიანოდ და მათ მხოლოდ ანგარებითი მიზნები ამოძრავებთ.

როცა ყოველმხრივ შეფასებას ვაძლევთ საერთაშორისო ვითარებას, მის დადებით და უარყოფით მხარეებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთლიანად ყველა საფუძველი გვაქვს ოპტიმისტურად მოვეკიდოთ მსოფლიოში მოვლენათა განვითარებას. პოლიტიკურად, ეკონომიურად და თავდაცვის დარგში საბჭოთა კავშირი, მთელი სოციალისტური თანამეგობრობა ახლა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე წინა წლებში. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა კვლავაც განახორციელებენ აქტიურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება სოციალიზმის, მშვიდობის, ხალხთა უშიშროების ინტერესებს.

დასასრულ ა. ნ. კოსიგინმა გამოთქვა რწმენა, რომ მომავალი არჩევნები კვლავ მკაფიოდ ცხადყოფენ საბჭოთა ხალხის შეკავშირებას კომუნისტური პარტიის გარშემო, ცხადყოფენ კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის დიდ ძლიერებას, სსრ კავშირის ხალხთა მზარდ მეგობრობას, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის დიად უპირატესობებს.

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის სიტყვა დიდი უურადღებით მოისმინეს. დარბაზში ხშირად ისმოდა ტაში.

ქალაქ მოსკოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებას დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი. (საკდესი).

მთავრობის ჯილდოების გადაცემა

მარნეული, 9 ივნისი. (საქდესი). მარნეულის რაიონის მშრომელებს დიდი სიხარული აქვთ. მათი 139 წარმომადგენელი, რომლებმაც განცალილ ხუთწლედში თავი გამოიჩინეს დამკვრცელური მუშაობით, დაჯილდოვდა მთავრობის ჯილდოებით. მათ შორის არიან ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენოსნები. ბევრს მედლები მიენიჭა.

სწორედ მთავრობის ჯილდოების გადაცემას მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც რაიონული ცენტრის კულტურის სახლში გაიმართა.

კრება გახსნა პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. მაღალაშვილმა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წაიკითხა მარნეულის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. ყულიევმა.**

ორდენები და მედლები დაჯილდოებულთ გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ჯავახიშვილმა.** მან გულთბილად მიულოცა შრომის გმირებს, უსურვა ახალი დიდი წარმატებანი მუშაობასა და პირად ცხოვრებაში.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ მარნეულის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ა. გასანოვი,** ყოლარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **გ. ქათამაძე,** სადაზღვო მეთამბაჩობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ი. ქერიმოვი,** ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი **ო. უფლიაშვილი,** მარნეულის სატრანსპორტო კონტორის მძღოლი **ბ. სპორტო** კონტორის მძღოლი **ბ. ჩიჩინი,** რომლებმაც მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და შეკრებილთ აღუთქვეს, რომ ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით იშრომებენ.

საგარეჯო, 9 ივნისი. (საქდესი). ასობით საგარეჯოელი შეიკრიბა დღეს პარტიის რაიონული კომიტეტის სხდომათა დარბაზში, სადაც [illegible] ... ბრძანებულება დაჯილდოების შესახებ [illegible] ... ბრიგადირი [illegible] ... ბრიგადირ [illegible] ... ბრიგადირ [illegible] ... ბრიგადირ

ამხანაგ ა. პ. კირილენკოს სიტყვა

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობაზე

ულან-ბატორი, 8 ივნისი. (საკ.სის. სპეც. კორ. ბ. ლუკიანოვი, ჩ. ნამჟილოვი, კ. ბოლდოხონოვი). დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობა.

დღეს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობის მუშაობის მეორე დღეა. დილის სხდომის დაწყების წინ მოძმე პარტიათა დელეგაციებმა გვირგვინებით შეამკეს გამოჩენილი მონღოლი რევოლუციონერების სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის მავზოლეუმ-აკლდამები.

სხდომის თავმჯდომარემ ამხ. ი. ცედენბალმა დელეგატებსა და სტუმრებს ახარა, რომ წარმატებით შეპირაპირდნენ საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-11“ და ორბიტული სადგური „სალუტი“.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ქუხდა ტაში. მონღოლ კომუნისტთა წარმომადგენლები აღფრთოვანებით მიესალმნენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ გამარჯვებას.

ამხ. ი. ცედენბალი სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. პ. კირილენკოს. დამსწრენი ფეხზე დგებიან და ოვაციას უმართავენ.

ამხ. ა. პ. კირილენკოს სიტყვა დელეგატებმა და სტუმრებმა მოისმინეს დიდი ყურადღებით.

ამხ. ა. პ. კირილენკოს ხდომის პრეზიდიუმს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობისადმი. ამხანაგებმა ი. ცედენბალმა და ყ. სამბუმ მხურვალე მადლობა გადაიხადეს.

ყრილობას მიესალმნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ლე თხან ნგი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სტანკო ტოდოროვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარე ა. აპრო, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვ. კრუჩეკი.

დელეგატები მჭუხარე ტაშით ხვდებიან ხდომის თავმჯდომარის მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ც. დუგერსურენის ცნობას იმის შესახებ, რომ ყრილობამ მიიღო საბჭოთა კოსმონავტების დეპეშა „სალუტის“ სამეცნიერო სადგურიდან.

კოსმონავტები მხურვალედ მიესალმებიან და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობის დელეგატებსა და თვით მონღოლ ხალხს.

დელეგატებმა აღფრთოვანებით მიიღეს საპასუხო დეპეშის ტექსტი კოსმონავტი ფურნავოვისადმი გ. ტ. დობროვოლსკის, ვ. ნ. ვოლკოვისა და ვ. ი. პაცაევისადმი.

ყრილობაზე გრძელდება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

ამხანაგო დელეგატებო!

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი დელეგაცია დიდად ნასიამოვნებია იმით, რომ თქვენი ყრილობა მზურვალედ, გულითადად შეხვდა ცნობას საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი შესანიშნავი მიღწევის — „სოიუზ-11“ საკრანსპორტო ხომალდის ფრენის შესახებ, რომელმაც დედამიწის თანამშავარ სამეცნიერო სადგურში მიიყვანა კოსმოსის მკვლევარნი კომუნისტები გ. ტ. დობროვოლსკი, ვ. ნ. ვოლკოვი, ვ. ი. პაცაევი. მსოფლიოში პირველად დედამიწისირგვლივ სივრცეში შექმნილია პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტი“. გმირი კოსმონავტები განაგრძობენ რთულ და პასუხსაგებ მუშაობას თავიანთ, ხატოვნად რომ ვთქვათ, კოსმოსურ სახლში, და უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ გადადგმულია ისტორიული ნაბიჯი სამყაროს საიდუმლოებათა უფრო ღრმად შეცნობის გზაზე. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ეს გამარჯვება იმსახურებს მშვიდობის ინტერესებს, მშრომელთა ინტერესებს, მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

პატივცემულო დელეგატებო!

ყრილობის მუშაობაში მოძმე პარტიის მონაწილეობა — ეს არის დიდი პატივიც და გამოცდილების ურთიერთგაზიარების კარგი საქმიანი ფორმაც. სწორედ ყრილობის ატმოსფეროში შეგვიძლია ვიგრძნოთ მოძმე ქვეყნის მაჯისცემა, დავინახოთ და გავიგოთ მეგობრების საქმეები, გეგმები, აზრები. ჩვენმა პარტიამ დიდი მადლიერებით მიიღო მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევა გამოეგზავნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობაზე.

ჩვენ უდიდეს კმაყოფილებას გვანიჭებს ის, რომ ჩვენი ლენინური პარტიის წარმომადგენელნი ვართ თქვენს ყრილობაზე. მოხარული ვართ გადმოგცეთ თქვენ, ამხანაგო დელეგატებო, ყველა მონღოლ კომუნისტსა და თქვენი ქვეყნის მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, უმაღლეს საბჭოთა კავშირის, საბჭოთა მინისტრთა საბჭოს, ყველა მეგობარ ადამიანს, ჩვენი მოსაგონებელი გეგმები შთამბეჭდავად გვიჩვენებენ სოციალისტურ სამშენებლო ფიფოთა ძლიერების განუწყვეტელ ზრდას, სოციალისტური წყობილების უდიდეს ღირებულებას, მის შემოქმედებითს ძალას.

შემოქმედებისა და რევოლუციური შემართების სულისკვეთება, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების უერთგულება — აი რა განასხვავებს ჩვენი მოძმე პარტიების ყრილობებს, კიდევ უფრო განსაკუთრებულ ინტერესს ბადებს ჩვენი საერთო დიადი რევოლუციური საქმის მთლიანად და საბოლოოდ გამარჯვების მტკიცე რწმენას.

ყოველივე ეს სავსებით ეხება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობასაც, რომელიც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის გაფართოების ხაზი.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XV ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში მონღოლმა ხალხმა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა სოციალისტურ მშენებლობაში, საგრძნობ პროგრესს მიაღწია საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარებაში. ამ არსებით ცვლილებათა არსია მონღოლი ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა გაფართოება და გაღრმავება.

მთელი მსოფლიოს წინაშე დღეგანდელი მონღოლეთი წარმოსდგება როგორც ქვეყანა, რომელიც სწრაფად მიეშართება მომავლისაკენ. ეკონომიკასა და სოციალურ სტრუქტურაში, იდეოლოგიაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ვხედავთ ბევრ სიახლეს, რომელსაც წარმოშობს სოციალისტური წყობილება, მიზანსწრაფული პოლიტიკა და მოღვაწეობა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა, მისი ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც მეთაურობს მონღოლეთის მშრომელი ხალხის სახელოვანი შვილი, პატრიოტი ინტერნაციონალისტი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ი. ცედენბალი.

ჩვენზე, XVI ყრილობის სტუმრებზე, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მონღოლი კომუნისტების საქმიანი კონკრეტული მიდგომა განსახილველი საკითხებისადმი, იმ ამოცანების მასშტაბი, რომლებსაც თქვენ სახავთ მომავალი წლებისათვის.

საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებთ მონღოლეთის ახალი გაზრდა ინდუსტრიის ზრდა. მისი ხვედრითი წონა ქვეყნის ეკონომიკაში განუხრელად იზრდება. სოციალისტური მონღოლეთი თანდათანობით ხდება ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა მარტო 1961-1970 წლებში რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია 1,6-ჯერ გაიზარდა, მაშინ როცა ზრდის საშუალო წლიური ტემპი 9,9 პროცენტი იყო. ეს ძალიან კარგი შედეგებია, რომლებიც საგსებით გვაკმაყოფილებს ჩვენც, თქვენს მეგობრებს.

მონღოლეთის მრეწველობა უკვე დიდ როლს ასრულებს რესპუბლიკის განვითარებაში, მაგრამ კიდევ უფრო დიდი როლი უნდა შეასრულოს მომავალში. იგი გახდება ის ფაქტორი, რომელიც საშუალებას მოგვცემს დადამწყვეტად გამოვიყენოთ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სოციალიზმის ინტერესებისათვის. მისი მეკიდე ზრდა სულ უფრო მეტად შეეწყობს ხელს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს თქვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში აგრარულ სექტორს და უწინარეს ყოვლისა მეცხოველეობას. და ჩვენთვის გასაგებია ის ყურადღება, რომელსაც ყრილობა უთმობს ეკონომიკის ამ დარგს. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, არაგების მატერიალური დაინტერესების გადიდების ღონისძიებებთან შეხამებით წარმოების მართვის გაუმჯობესების კურსმა, რომელსაც თქვენ სახავთ, კეთილნაყოფიერი გავლენა უნდა მოახდინოს არა მარტო მეცხოველეობის განვითარებაზე, არამედ ქვეყნის საერთო ეკონომიურ მდგომარეობაზეც.

ხელმძღვანელობთ რა ლენინური იდეებით, თქვენ განაახორციელეთ ნადვილი ეკონომიური რევოლუცია, რომელის მაგალითის მიმზიდველი ძალა აქვს ბევრი ქვეყნისათვის. სოციალისტური ეკონომიკა დამკვიდრდა ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ამჟამად თქვენ გადადიხართ სავალდებულო არასრულ საშუალო განათლებაზე, რომელიც ახალი დადასტურებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ სოციალიზმი ცოდნის, კულტურის დაწყებიის გზას უხსნის თვითეულ მშრომელს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა შენდება და ვითარდება მთელი მონღოლი ხალხის შრომით. თქვენნაირ დღევანდელი გამარჯვებანი მიგვიანჩინა რესპუბლიკის ახალგაზრდა მუშათა კლასის ენერგიის შედეგად, რომლის დაბადება რევოლუციური ძვრა იყო საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. მონღოლეთის მუშათა კლასმა მოწინავე საწარმოებში თანამედროვე ყაიდაზე, უმაღლეს თანხოვნათა დონეზე მუშაობის ნიმუშები გვიჩვენა. მისი კვალიფიკაცია სწრაფად იზრდება, და ეჭვი არ არის, რომ მუშათა კლასი ღირსეულად შეასრულებს ქვეყნის შემდგომი სოციალისტური განვითარების წამყვანი ძალის როლს.

თქვენი გამარჯვებანი მიგვაჩნია არატების, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის თავდადებული მუშაობის შედეგად. რთულ ბუნებრივ პირობებში შრომობენ მონღოლი მეცხოველე და მიწათმოქმედი. მით უფრო საპატოა მათი შრომა და მით უფრო აქტუალურია სოფლის მეურნეობის ინტენსივიფიკაციის ამოცანები, რომლებსაც თქვენი ყრილობა სახავს.

სოციალისტური მონღოლეთის წარმატებებში სულ უფრო დიდი წვლილი შეიტანს სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობასაც, რომელიც დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირურთიერთობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ერთიანობის, ურთიერთგაზიარების, ურთიერთგამდიდრების ერთ-ერთ ნაყოფიერ ფორმად ქცევის ერთ-ერთ ნიმუშად.

ჩვენ ვგულისხმობ, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა განაგრძობს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, გამოიყენებს ყოველივე მნიშვნელოვანს საკუთარი გამოცდილებიდან, აქტიურად მიიღებს მონაწილეობას სოციალისტურ ეკონომიურ ინტეგრაციაში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში და თავისი მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის — მონღოლ კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით შემდგომშიც მიაღწევს ახალ მაღალ მიჯნებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენს დელეგაციას დაავალა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ყრილობას აღუთქვას, რომ თავის ღონისძიებებში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის თქვენს პარტიას შეუძლია კვლავაც იქონიოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, მთელი საბჭოთა ხალხის ძმური უანგარო მხარდაჭერისა და დახმარების იმედი.

თქვენთან ერთად ვიგლეთ ჩვენი სახალხო-სამეურნეო გეგმების უფრო სრული კოორდინაციის გზით, მივაღწიეთ შრომის ნაყოფიერების ზრდას, მთელი საზოგადოებრივი წარმოების კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებას. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მომავალ წლებში საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის თანამშრომლობა ყველა დარგში ახალ, უფრო მაღალ საფეხურს მიაღწევს. და ეს ხელს შეუწყობს ამ ყრილობის მიერ დასახული გეგმების წარმატებით შესრულებას.

ნება მიბოძეთ თქვენ, ამხანაგო დელეგატებო, ყველა მონღოლ კომუნისტს, მონღოლ ხალხს გისურვოთ. დიდი წარმატებანი ისტორიული ამოცანის განხორციელებაში — თქვენს მშვენიერ ქვეყანაში სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ამხანაგებო! თქვენი ყრილობის მუშაობა მიმდინარეობს ღირსშესანიშნავი თარიღის — მონღოლეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვების 50 წლისთავის წინ. ამ დღესასწაულს თქვენთან ერთად აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის ხალხები, სხვა სოციალისტური ქვეყნების მოძმე ხალხები, მთელი მსოფლიოს კომუნისტები. ხუთი ათწლეულის მანძილზე ფეოდალური მონათბარე მონღოლეთი მონღოლ რევოლუციონერ-კომუნისტთა ნებით, მონღოლი ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით, საბჭოთა კავშირთან და სხვა მოძმე ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით გადაიქცა სოციალისტურ რესპუბლიკად, მიაღწია დიდ სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ პროგრესს.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის პროგრამაში ხაზგასმულია: „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა არის სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმატებული განვითარება მიზანია ეროვნული-განმათავისუფლებელი ბრძოლის, ეროვნული-დემოკრატიული რევოლუციის, ეროვნული-ეკონომიური ინტეგრაციის, ეროვნული-ეკონომიური ინტეგრაციის, ეროვნული-ეკონომიური ინტეგრა

შეხვედრა ჭაქას გვირგვინთან

სოხუმის ს. ჭანბას სახელობის თეატრის გასტროლები თბილისში

ჯერ კიდევ არ დამცხრალა დიდებულა“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენა სოხუმის ს. ჭანბას სახელობის თეატრის აფხაზური დასის გამოსვლების შემდეგ, რომ იგი ქართულმა დასმა შეცვალა

ფარდის გახსნამდე ავანსცენაზე გამოვიდნენ მასპინძლები და მათი სტუმრები. მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, უკრაინისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. ალიქსიძე რესპუბლიკის თეატრალური კოლექტივების სახელით გულთბილად მიესალმა სოხუმელებს. შემდეგ სტუმრებმა უჩვენეს „მთანი მაღალნი“ ეაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით. სპექტაკლის ინსცენირება ეკუთვნის დრამატურგ გ. ხუხაშვილს.

დადგმის ავტორია ლ. პაქსაშვილი, მხატვარი — თ. ჟვანია, კომპოზიტორი — აფხაზეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ბერიკაშვილი, ქორეოგრაფი — გ. ვაშაკიძე.

როლებს ასრულებდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ნეფარიძე, აფხაზეთის სსრ დამსახურებული არტისტები ლ. ფილფანი, გ. რატიანი, ნ. მიქაშავიძე, ს. პაჭკორია, მსახიობები გ. ხურცილავა, ნ. ბექაური, ლ. მიქაშავიძე...

სპექტაკლს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ მ. გოგიჩაიშვილი, შ. კიკნაძე, თ. მოსაშვილი, აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შინკუბა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე დ. გოგოხია, აფხაზეთის სსრ კულტურის მინისტრი ნ. კეტი.

გასტროლების დღეებში აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის თეატრის ქართული დასი უჩვენებს თავის საუკეთესო დადგმებს. (საქ‌ლესი).

მსოფლიო ჯჯეს

სარატიფიკაციოდ წარდგენილია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სარატიფიკაციოდ წარუდგინა ხელშეკრულება ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მათ წიაღში ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგენება აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ და დასკვნისთვის გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებს. (საკდესი).

შეიქმნა ევროპის უშიშროების საბჭოთა კომიტეტი

8 ივნისს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლების კრება, რომელიც მიეძღვნა ჩვენს ქვეყანაში ევროპის უშიშროების საბჭოთა კომიტეტის დაფუძნებას.

შეკრებილებმა აირჩიეს ევროპის უშიშროების საბჭოთა კომიტეტი 134 კაცის შემადგენლობით და მისი ხელმძღვანელი ორგანო — კომიტეტის ბიურო.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლების განცხადება „ევროპის უშიშროებისათვის“. (საკდესი).

რუმინეთის დელეგაცია ჩინეთში

პეკინი, 9 ივნისი. (საკდესი). აქ დამთავრდა მოლაპარაკება რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტია-მთავრობის დელეგაციისა, რომელსაც მეთაურობს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩაუშესკუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ჯოუ ენლაისთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. დელეგაცია მიიღო მაო ძე-დუნმა.

იდეოლოგიური დივერსანტები

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორს“ მოჰყავს ფაქტები, რომლებიც კიდევ ერთხელ გვიჩვენებენ მიუნხენის „იდეოლოგიურ დივერსანტებს“ — რადიოსადგურების „თავისუფალი ევროპისა“ და „თავისუფლების“ ბუმშარიტ სახეს.

ორივე რადიოსადგური, აღნიშნავს გაზეთი, „შექმნა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ „ცივი ომის“ პირველ დღეებში. თეორიულად მათ აფუძნებდნენ როგორც კერძო ორგანიზაციებს, და დიდხანს ეგონათ, მათ კერძო მოქალაქეები აფინანსებენო. სინამდვილეში, კერძო სუფსიდიები სიმბოლური ხასიათისა იყო: რადიოსადგურების საქმიანობას თავისი სიდიდენლო ფონდებიდან აფინანსებდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ რადიოსადგურების „თავისუფალი ევროპისა“ და „თავისუფლების“ წინაშე დასახული იყო მიზანი გამოეწვიათ უკმაყოფილება არსებული წყობილების გამო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

„კრისჩენ საიენს მონიტორი“ პირდაპირ აცხადებს, რომ „ყოველივე ეს სხვა არა არის რა, თუ არა ჩარევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში“. როგორც გაზეთის ცნობიდან ჩანს, მიუნხენის ანტიკომუნისტური სამზარეულო ამერიკის შეერთებული შტატებიდან თავისი საქმიანობისათვის ყოველწლიურად 40 მილიონ დოლარს იღებდა.

ლანაშაულებრივი აქტი

სანტიაგო, 9 ივნისი. (საკდესი). გუშინ დილას სანტიაგოში უცნობმა პირებმა მოკლეს ე. ფრეის მთავრობის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ედმუნდო პერეს სუსოვიჩი. ბანდიტებმა ტყვია დაუშინეს ავტომანქანას, რომელშიც თავის ქალიშვილთან ერთად იჯდა. სუსოვიჩი სასიკვდილოდ დაიჭრა და რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა.

ქვეყნის პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ გასცა განკარგულება სასწრაფოდ გამოიძიონ ეს დანაშაული და ეთათბირა უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელებს. სანტიაგოს პროვინციაში შემოღებულია საგანგებო წესები.

სენატორმა ადონის სეპულვედამ რადიოთი და ტელევიზიით წაიკითხა სახალხო ერთიანობის ბლოკის შემავალ პარტიათა განცხადება. სახალხო ერთიანობის ბლოკის სახელით მან მთელ ხალხს მოუწოდა მეტი სიფხიზლე გამოიჩინოს.

ჩილეს რადიო იუწყება, რომ ჩილეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დაადგინეს მკვლელის პიროვნება. ეს არის რონალდ რივერა კალდერონი, ადამიანი, რომელსაც არა აქვს გარკვეული პოლიტიკური მრწამსი.

რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით ჩილეში გამოცხადებულია 3 დღის გლოვა.

ახალი პროვოკაცია ლიბანის წინააღმდეგ

ბეირუთი, 9 ივნისი. (საკდესი). 7 ივნისს ღამით ისრაელმა განახორციელა ახალი შეიარაღებული პროვოკაცია სამხრეთის საზღვრებზე, ნათქვამია ლიბანის არმიის სარდლობის წარმომადგენლის ცნობაში.

ისრაელ ჯარისკაცთა ქვეგანაყოფი შეიჭრა ლიბანის ტერიტორიაზე და ააფეთქა ორი სახლი ლიბანის სასაზღვრო სოფელ რამიაში.

ქოლერის ეპიდემია

დელი. 9 ივნისი. (საკდესი). ქოლერის ეპიდემია აღმოსავლეთპაკისტანელ ლტოლვილთა შორის ინდოეთში კვლავ ვრცელდება. როგორც ინდოეთის მთავრობის ოფიციალური მონაცემები მოწმობენ, უკვე აღრიცხა დაავადების 13.000 შემთხვევა, მათ შორის 3 ათასი სიკვდილით დამთავრდა. მაგრამ ადგილობრივი პრესა გარდაცვალებულთა გაცილებით უფრო დიდ ციფრს ასახელებს.

იმოწმებენ რა არაოფიციალურ მონაცემებს, გაზეთები წერენ, რომ ქოლერით გარდაცვლილთა რიცხვმა 8 ათას კაცს გადააჭარბა. „ნეშნლ ჰერალდის“ ცნობის თანახმად, დასავლეთ ბენგალიის მთავრობამ, სადაც ბანაკებში იმყოფება 4,5 მილიონი აღმოსავლეთპაკისტანელი ლტოლვილის დიდი ნაწილი, გამოაცხადა, რომ ეპიდემიამ მოიცვა შტატის რვა სასაზღვრო რაიონიდან შვიდი.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წარმომადგენელთა ცნობებით, ქოლერის ეპიდემია გავრცელდა ტრიპურის, ასამისა და მეგჰალაის მთელ რიგ რაიონებში, სადაც აგრეთვე თავი მოიყარა მრავალმა აღმოსავლეთპაკისტანელმა ლტოლვილმა.

გზა — რჩეულთ!

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილეს გ. დოლიძეს საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა რამდენიმე სიტყვა ეთქვა მომდინარე წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ.

მიმდინარე ზაფხულში საქართველოს 18 უმაღლესი სასწავლებელი და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა თბილისის სამი ფილიალი მიიღებენ 14 ათასამდე ახალ სტუდენტს, — თქვა ამხ. გ. დოლიძემ — ამასთან ნახევარზე მეტს მიიღებენ დღის განყოფილებებზე.

მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად მიიღებენ მოსამზადებელ განყოფილებათა 1.000-მდე მსმენელს. ასეთი მოსამზადებელი განყოფილებანი მოქმედებს თბილისის უნივერსიტეტში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტებში, სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტსა და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. რა თქმა უნდა ინსტიტუტში მიიღებენ მხოლოდ იმათ, ვისი ცოდნა მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლის დროს გამოსაშვები გამოცდის დროს დამაკმაყოფილებელი იქნება.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოსამზადებელმა განყოფილებებმა გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. ახალი სასწავლო წლიდან ამ განყოფილებებზე გაიზრდება მოსწავლეთა კონტინგენტი.

მისაღებ გამოცდებზე მაპროფილებელ დისციპლინებში მიღებული ქულების თანაბარი რაოდენობის პირობებში ჩარიცხვისას უპირატესობა ექნებათ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოვდნენ ქების სიგელებით ერთ ან რამდენიმე დისციპლინაში მოპოვებული წარმატებებისათვის, თუ ეს დისციპლინები მაპროფილებელია.

მუშაობის სტაჟი სავალდებულო აღარ არის დღის განყოფილებებზე შემსვლელი იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც წარჩინებით დამთავრეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა პროფესიულ-სავაჭრო, სავაჭრო-კულინარული და კულინარული სასწავლებლები. ხეტყის დამამზადებელი და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშაკები ან მათი შვილები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში შედიან ისეთი სპეციალობით, როგორიცაა ხისდამმუშავების კანდიდატურებს, რომლებიც ესწრაფვიან პედაგოგიურ მუშაობას. მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასების მიღების შემდეგ კომკავშირული საგზურების მქონე აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან. წელს უმაღლეს სასწავლებლებში გამოყოფილია 160 ადგილი აფხაზეთისა და აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს სხვა რაიონების ასეთი კანდიდატებისათვის.

მისაღებ გამოცდებზე გამოირკვა, რომ კომკავშირული საგზურებით უმაღლეს სასწავლებლებში გამოგზავნილთა უმრავლესობა კარგად არის მომზადებული. ამავე დროს გამოსაცდელთა დიდმა ნაწილმა არადამაკმაყოფილებელი ნიშნები მიიღო. უფრო ვიდეული მრეწველობის მანქანები და მექანიზმები, ხე-ტყის საინჟინრო საქმე და ხის დამუშავების ტექნოლოგია, კონკურსით პირველ რიგში ჩაირიცხებიან.

წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე მაპროფილებელი დისციპლინა ქიმიასთან და ბიოლოგიასთან ერთად მათემატიკაც იქნება. ფიზიკის ნაცვლად ამ საგანში მოეწყობა წერითი გამოცდა.

1971 წელს რესპუბლიკის პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში კვლავ განხორციელდება მიზნობრივი კომკავშირული მიღება. კომკავშირული ორგანიზაციები განათლების მუშაკებთან ერთად ყველაზე ნიჭიერ სოფლის ახალგაზრდებს შორის შეარჩევენ იმ ქალიშვილებისა და ჭაბუკებს, რომლებიც ესწრაფვიან პედაგოგიურ მუშაობას. მისაღებ გამოცდებზე შემდეგ კომკავშირული საგზურების მქონე აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან.

ბევრ ადგილზე ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტში — ოპტიკური ხელსაწყოებისა და ზუსტი მექანიკის ხელსაწყოების სპეციალობაზე, ლენინგრადის ვ. ულიანოვის სახელობის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში ელექტრონული ხელსაწყოების სპეციალობაზე, მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში — ნახევარგამტარიანი ხელსაწყოების, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში — სამაცივრო-საკომპრესორო მანქანებისა და დანადგარების, ოდესის უმაღლეს საინჟინრო-საზღვაო სასწავლებელსა და საზღვაო ფლოტის ინჟინერთა ინსტიტუტში — საზღვაო გემმძღოლების, გემის დანადგარებისა და ბის ინსტიტუტში გამოყოფილია ადგილები აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისათვის. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიას ისწავლიან ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ მხარეთა მადგენლები, თბილისის უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ და საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტებში იაკუტიიდან ჩამოსული ახალგაზრდები.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები თითქმის 200 სპეციალობის სპეციალისტებს ამზადებენ. ახალ სასწავლო წელს მათ შეემატებათ კიდევ ერთი სპეციალობა — მართვის ავტომატიზებული სისტემები. ამ სპეციალობით გამოაცხადა მიღება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა კვალიფიციური კადრების მოამზადებას. მეცხრე ხუთწლედის გეგმით ფთავალისწინებულია უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო ბაზის შემდგომი გაფართოების დიდი პროგრამა. ჩვენს რესპუბლიკაში ამ მიზნებისათვის ასიგნებულია 28 მილიონი მანეთი, რაც თითქმის ოთხჯერ მეტია, ვიდრე წინა ხუთწლეულში. დამთავრდება უმაღლესი სასწავლებლებისათვის საჭირო ობიექტების მშენებლობა, გაგრძელდება უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მშენებლობა. ახალ სასწავლო წელს მწყობრში ჩადგება თბილისის უნივერსიტეტის ატომური ფიზიკისა და ფოტოსინთეზის ლაბორატორიული კორპუსები, აგრეთვე ბესმ-6 გამოსათვლელი მანქანის სპეციალური შენობა. მწყობრში ჩადგება აგრეთვე თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიული კორპუსი და სხვ.

პარტია და მთავრობა ქმნიან სტუდენტი ახალგაზრდობის ნაყოფიერი სწავლის ყველა პირობას.

სპორტი

მოსკოვის ფორუმამდე...

დაიხურა საქართველოს მეხუთე სპარტაკიადა

თბილისის სპორტულ ბაზებზე ამოიწურა სეზონის უდიდესი ასპარეზობა, 8 ივნისს ფინეში ჰქონდა საქართველოს მეხუთე სპარტაკიადას, გუშინ კი ალამი დაუშვეს. სწორედ სპარტაკიადის საზეიმო დახურვას მიეძღვნა სპორტსმენთა, მწვრთნელთა და ფიზიკულტურის ხელმძღვანელ მუშაკთა შეჯრება საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის საჰტო დარბაზში.

სპარტაკიადის დახურვისადმი მიძღვნილი შეკრება გახსნა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ხერაძემ. სპარტაკიადის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე.

როგორც აღინიშნა, სპარტაკიადის სამივე ეტაპის სტარტზე გამოვიდა 1.147.000 სპორტსმენი, ფინალურ ასპარეზობაში კი, რომელიც 5 მაისიდან 8 ივნისამდე გაგრძელდა—2.587 სპორტსმენი. 11 ნაკრები გუნდი იბრძოდა პირველობისათვის სპორტის 26 სახეობაში. ჩათვლები ხდებოდა აგრეთვე სასპორტო საზოგადოებათა და უწყებათა გუნდებისათვის, ჭაბუკებისა და გოგონებისათვის, ქალთათვის. იმაზე, თუ როგორი იყო მონაწილეთა სიძლიერე, მეტყველებს შემდეგი ციფრები: 26 სერთიფიკატი, 438 ოსტატი, 265 ოსტატობის კანდიდატი, 1.497 პირველადსარეგიონალური, 361 მეორე თანრიგოსანი.

სპარტაკიადაზე ნაკრებ კოლექტივებს შორის პირველობა არავისათვის დაუთმია თბილისის გუნდს, რომლის შემადგენლობაში ბევრი ოსტატი და ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წევრი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისელებმა 26 სახეობიდან ოცდასამში ჩემპიონობა დაიმსახურეს და საერთო ჯამში 2.012,93 ქულა შეაგროვეს. წარმატებით გამოვიდა აგრეთვე ქუთაისის სპორტსმენთა კოლექტივი. 960,17 ქულით მან მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. წინსვლა ეტყობათ აჭარელ სპორტსმენებს, მეოთხე სპარტაკიადასთან შედარებით მათ ერთი საფეხურით მაღლა აიწიეს, — 921,4 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. აი დანარჩენი გუნდების მაჩვენებლები: აფხაზეთი — 861,5 ქულა, რუსთავი — 281 ქულა, ფოთი — 236,1 ქულა, სამხრეთ ოსეთი — 192,5 ქულა, გორი — 145 ქულა, ჭიათურა — 90 ქულა, ზუგდიდი — 3 ქულა, ტყიბული — 2 ქულა.

ახლა გადავხედოთ სპარტაკიადაზე სასპორტო საზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს, მათს მაჩვენებლებს. მოულოდნელი როდი იყო, რომ სასპორტო საზოგადოებათა შორის ჩემპიონობა დინამოელებმა მოიპოვეს. სწორედ, ამ საზოგადოების რიგებში ცოტა როდია უღლიერესი სპორტსმენები, საქართველოს ნაკრების წევრები. მათ სპარტაკიადაზე 1.461,77 ქულა შეაგროვეს. მაგრამ ყველაზე უფრო ყურადღებას იპყრობს საზოგადოება „განთიადის“ წარმატება. მან გაუსწრო ისეთ ძლიერ კოლექტივს, როგორიც „ბურევესტნიკი“ და 1.157,77 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. საქმე მარტო იმაში როდია, რომ „განთიადმა“ საზოგადოებათა შორის ყველაზე მეტი სპორტსმენი (678) გამოიყვანა, არამედ იმაშიც, რომ ამ სპორტსმენთა მომზადების დონე შედარებით მაღალი აღმოჩნდა და რეკორდების მნიშვნელოვანი ნაწილიც მათ ეკუთვნით. ამჯერად „ბურევესტნიკი“ იძულებული იყო 1.143,28 ქულით მესამე საპრიზო ადგილით დაკმაყოფილებულიყო. სხვა საზოგადოებათა და უწყებათა მაჩვენებლები ასეთია: არმიის სასპორტო კლუბი — 551,42 ქულა, „სპარტაკი“—428,86 ქულა, „კოლმეურნე“—347,65 ქულა, განათლების სამინისტრო — 334,92 ქულა, „ლოკომოტივი“ — 174,3 ქულა, „ეოდნიკი“ — 120,8 ქულა, „შრომითი რეზერვები“ — 52,5 ქულა, სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 19 ქულა, დოსაააფი — 6 ქულა.

ამაღლდა სპორტსმენთა ოსტატობა, მათი მაჩვენებლები. სულ სპარტაკიადაზე (სამივე ეტაპი) ჩვენმა სპორტსმენებმა დაამყარეს 2 მსოფლიო (იუნიორთა), 5 საკავშირო, 81 რესპუბლიკური, 47 საოლქო, 136 საქალაქო და 359 სარაიონო რეკორდი. ამ რეკორდების მნიშვნელოვანი ნაწილი ფინალურ შეჯიბრებაზე მოდის. სახეობათა მიხედვით თავი გამოიჩინეს ძალოსნებმა, მცურავებმა, მძლეოსნებმა, მშვილდოსნებმა. მაგალითად, ჩვენმა შტანგისტებმა 16, მცურავებმა 17, მძლეოსნებმა 10 და მშვილდოსნებმა 4 რეკორდი დაამყარეს. დიდი წარმატება ხვდა წილად აფხაზეთის ძალოსანს რ. ტარკილს. მან იუნიორთა 2 მსოფლიო და 1 საკავშირო რეკორდი დაამყარა, მძლეოსანთა შორის წარმატება ხვდათ გუდამვილხა და ფხაკაძეს.

სულ სპარტაკიადაზე (სამივე ეტაპი) ოსტატის ნორმა შეასრულა 407 სპორტსმენმა, ხოლო პირველთანრიგოსნის შედეგი — 225-მა. ფინალურ ასპარეზობაზე პირველად შეასრულა ოსტატის ნორმა ოცდახუთმა კაცმა.

სპარტაკიადაში გამარჯვებულებს შეერგებაზე სპეციალური პრიზები და დიპლომები გადასცეს. გამოჩენილმა სპორტსმენებმა ალამი დაუშვეს, სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სერგაძემ რესპუბლიკური სპარტაკიადა დახურულად გამოაცხადა და ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს უსურვა, რომ წარმატება მოიპოვონ სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე.

ვ. გაგელია.

თბილისი. საღამო კუს ტბაზე. ფოტო ვ. ჩხუმიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ ინტერვიუ

წინ დიდი ბრძოლებია

ოხრიდის საზონთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ნანა ალექსანდრია გუშინწინ თბილისში დაბრუნდა. „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა ჩვენს სახელოვან მოჭადრაკეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

— რას გვეტყვით ოხრიდში გამართულ საზონთაშორისო ტურნირზე?

— ტურნირზე შეიკრიბა ძალიან ძლიერი შემადგენლობა და ამ მხრივ არ განსხვავდებოდა ადრინდელი პრეტენდენტთა შეჯიბრებებისაგან. დასანანია მხოლოდ ის, რომ ასპარეზობაში არ მონაწილეობდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჭადრაკე რუმინელი ალექსანდრა ნიკოლაუ.

— გეკითხათ თუ არა მძიმე წუთები ტურნირში და როდის?

— მძიმე წუთები ტურნირში, რა თქმა უნდა, ყველას აქვს და მეც მქონდა. ეს იყო მაშინ, როდესაც ორი პარტია ზედიზედ წავაგე და მომეკარგა პარტიაში ძალიან ვნერვიულობდი. შეიძლება ითქვას, რომ ოდნავ რწმენაც დაკარგე საკუთარი ძალისადმი. აუცილებელად საჭირო იყო ამ პარტიის მოგება და როცა გავიმარჯვე, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.

— ვინ შეიძლება გახდეს ნონა გაფრინდაშვილის მეტოქე?

—ჩემი აზრით, დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობა აქვს ყველა ნახევარფინალისტს. მატჩები ყოველივეს უფრო ძნელი სათამაშოა, ვიდრე ყოველნაირი ძლიერი ტურნირები, და ამიტომ აქ უკვე ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ როგორ გაუძლებს ნერვიულ დაძაბულობას. სხვათა შორის, ბორის სპასკი წინაადრეადვილი, რომ ქალთა შორისაც შემოიღეს პრეტენდენტთა მატჩები, მაშინ როდესაც ეს, მისივე თქმით, შამაკაცთა შორისაც არ არის გამართლებული.

— როგორია თქვენი საჭადრაკო და პირადი გეგმები?

— ჩემი მომავალი გეგმები მთლიანად დამოკიდებულია მომავალ მატჩზე მილუნკა ლაზარევიჩთან. ეს მატჩი გაიმართება აგვისტოს მეორე ნახევარში, ადგილი კი ჯერჯერობით უცნობია.

— მსოფლიო პირველობის გარდა რომელი მოვლენები იქნება საინტერესო საჭადრაკო სამყაროში?

— წელს ბევრი დიდი საერთაშორისო ტურნირია მოსალოდნელი. მათ შორის ევროპის თასის გათამაშება ქალთა შორის, რომელიც ვრნიაკა-ბანიაში იმართება ყოველწლიურად და რომელზეც მიწვეული არიან ნონა გაფრინდაშვილი, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი, და საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონი.

რამდენიმე სტრიქონით

● ლენინგრადში გამართულ ვეღლომრბოლთა საერთაშორისო ასპარეზობაზე, რომელშიც 12 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ოთხიდან სამი პრიზი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. სპრინტერულ რბოლაში პრიზი დაისაკუთრა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ.

● **გუშინ მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ესპანეთის „ესპანიოლსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.**

● **ხუთი** საბჭოთა მოტომრბოლი განაგრძობს ბრძოლას სპიდვეიში ევროპის პირველობის მეორე შესარჩევ ტურში, რომელიც პოლონეთში მოეწყო. ამ ხუთეულში არის თბილისელი ვ. გორდეევი.

ბანქოს მართვა აეკრძალათ

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ავტოტრანსპორტის წესიერად მართვისათვის აქ ბევრი ღონისძიება განხორციელდა და მდგომარეობა გაუჯანსაღდა. მაგრამ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა საჭეს მართავენ მთვრალი მძღოლები.

ამიტომ იყო, რომ შინაგან საქმეთა ორჯონიკიძის რაიონული განყოფილების სადისკვალიფიკაციო კომისიამ ახლახან თითო წლით ავტოტრანსპორტის მართვა აუკრძალა მძღოლებს დ. შარიქაძეს, ე. ბუაჩიძეს, ჯ. ფოფხაძეს, ნ. სამხარაძეს, კ. ნიკაცაძეს.

ტექნიკურად გაუმართავი მანქანები აქვთ ხიდრის, ხონის, ოგორეთის, ლეღვნის, ვახანის კოლმეურნეობებს, ქართული ფუტკრის საჯიშე მეურნეობას, მარმარილოსა და გრანიტის მაღაროს, ფარცხნალის კოლმეურნეობას სამი მანქანა აწერია, მაგრამ ერთი ტექნიკურად გაუმართავია. ასევეა დეისის კოლმეურნეობაშიც. ამიტომაც ხდება ავტოშემთხვევები. ყველა საწარმო-დაწესებულებამ, მძღოლმა დაიქირავებით სრულ წესრიგში უნდა მოიყვანონ ავტომანქანები.

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი.

გ. პაპასქუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1940 წლიდან, აფხაზეთის პროფკავშირთა კურორტების მართვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბრიბლ პეტრეს-ძე პაპასქუა.

გ. პაპასქუა დაიბადა 1902 წელს გალის რაიონის სოფელ ბარღებში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1936 წელს მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, იგი მუშაობდა გალის რაიონული პოლიკლინიკის თავადად ექიმად, გალის, ხოლო შემდეგ გაგრის რაისაბჭოების აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ. კარგი ორგანიზატორული ნიჭის, შეძენილი მდიდარი გამოცდილების მეოხებით გ. პაპასქუა მალე დაწინაურდა ხელმძღვანელ სამუშაოზე. იგი ინინშენება აფხაზეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ, ხოლო 1939-დან 1950 წლამდე მუშაობს აფხაზეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად, შემდეგ კი მინისტრად.

სხვადასხვა დროს გ. პაპასქუა მუშაობდა კრემლის სამკურნალო-სანატორული, სამმართველოს მე-2 პოლიკლინიკის დირექტორის მოადგილედ, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წყალთა ტრანსპორტის სამკურნალო-სანატორულ დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ, აფხაზეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ეპიდემიოლოგად.

გ. პაპასქუას გამოქვეყნებული აქვს პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა მეცნიერული ნაშრომები. 1960 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1958 წლიდან გარდაცვლებამდე გ. პაპასქუა მუშაობდა აფხაზეთის პროფკავშირთა კურორტების მართვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ.

გ. პაპასქუა სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრად, სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, იყო აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს გ. პაპასქუას მოღვაწეობას. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენით, მრავალი მედლით.

ნიჭიერი ორგანიზატორის, პრინციპული, საქმის ღრმად მცოდნე სპეციალისტის გ. პაპასქუას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მახლობლების, მეგობრებისა და ამხანაგების გულში.



ეპოლეტები

**ბ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კარმენი (32-ე ამონ. მე-6 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზიანი